112-ის ღროით...

N25
სექტემბერი, 2015

პოლუმბიის დელეგაციის ვიზიტი 112-ში
(გვ.4)

საფრანგეთის ეროვნული პოლიციის დელეგაცია
შსს-ში (გვ.5)

მოლინინი შსს-ს აკადემიაში
(გვ.8)

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი,
მარიამ ჯმუხაძე, ჰენრიეტა ელიაური, მარიამ კიკნაძე,

დიზაინი თეა კუპრაძე

ჯოლუმბიის რესპუბლიკის უწყებათაშორისი დელეგაციის ვიზიტი 112-ში 83.4-5

შს სამინისტროს საფრანგეთის ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია 83.6

შსს-ს აკადემიაში ამერიკელმა სპეციალისტებმა ტრენინგი ჩაატარეს 83.7

ოპერატორთა ბლოგი 83.8

როგორ უმღეროდა პოლიციელი გოგონას, რომელსაც მამა ავტოკატასტროფაში დაეღუპა 83.9

პოლიციის ოფიცერი შეძრა 6 ფეხშიშველი ობლის დანახვამ 83.10-11

ესპანელმა მეხანძრემ ლეკვს პირველადი დახმარება აღმოუჩინა 83.12

ძაღლმა სროლისას ბავშვი გადაარჩინა 83.13

83.14 იაპონიის სადგურებზე ნასვამ ადამიანებს ავტომატური სისტემა მიაქცევს ყურადღებას

83.15-18 უმოჯა - მათ ეს შეძლეს!

83.19-20 911-ის ისტორიები

83.21-22 მასშტაბური შეჯახებები მსოფლიოში

83.23 უნიკალური ლაზერული შუქნიშანი

83.24 საათი უსინათლოებისთვის

კოლუმბიის რესპუბლიკის უწყებათაშორისი დელეგაციის ვიზიტი 112-ში

2015 წლის 9 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტს კოლუმბიის რესპუბლიკის უწყებათაშორისი დელეგაციის წევრები ეწვივნენ.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაცის წევრები საქართველოში გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის საქმიანობას გაეცნენ და ქვეყანაში მოქმედი, გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის - 112-ის ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

სტუმრებს საშუალება მიეცათ ადგილზე გაცნობოდნენ 112-ის ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას, დაკვირვებოდნენ ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ექვსი სხვადასხვა უწყების: კოლუმბიის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის სამინისტროს, უსაფრთხო-

ებისა და გადაუდებელ საქმეთა სააგენტო „123“-ის, შემოსავლების და საბაჟო სამსახურის, სამოქალაქო რეესტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის, სანოტარო და რეგისტრაციის სამსახურის და საჯარო რეესტრის წარმომადგენლები.

კოლუმბიის რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ქართველი კოლეგების გამოცდილების გაზიარება და ბოლო წლებში გატარებულ სტრუქტურული რეფორმების გაცნობა, რომელთა შედეგადაც დამკვიდრდა წარმატებული პრაქტიკა ელექტრონული მმართველობის, ბიუროკრატიის შემცირებისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სფეროში.

ვიზიტის დასასრულს, დელეგაციის თითოეულ წევრს 112-ის ხელმძღვანელობამ, სამახსოვროდ, საჩუქრები გადასცა.





შს სამინისტროს საფრანგეთის ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია

2015 წლის 15 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოფიციალური ვიზიტით, საფრანგეთის ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია. დელეგაციის წევრები ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსს ივანე პაპიაშვილს და ამავე დეპარტამენტის წარმომადგენლებს შეხვდნენ. მხარეებმა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს და ამ კუთხით თანანშრომლობის განვითარების შესაძლებლობები განიხილეს.

ასევე, სტუმრები შეხვედნენ საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს და თბილისის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელებს. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ორ ქვეყანას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

ვიზიტის ფარგლებში, საფრანგეთის დელეგაციის წევრებმა შს სამინისტროს კრიმინალისტიკური ლაბორატორია, თბილისის მთავარი სამმართველოს ორი სამმართველო, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი 112 და შსს მომსახურების სააგენტო მოინახულეს.



შსს-ს აკადემიაში ამერიკელმა სპეციალისტებმა ტრენინგი ჩაატარეს

შსს-ს აკადემიაში საზოგადოებასთან ურთიერთობის და სოციალური მედიის თემაზე ხუთდღიანი ტრენინგი ჩატარდა. სწავლებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის, სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის, შსს-ს სსიპ-ების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ტრენინგი საქართველოში აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით და აშშ-ს ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროს (GBI) მხარდაჭერით გაიმართა. სწავლებას ჯორჯიის შტატის ქალაქ დანვუდის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ბილ გროგანი და მედიასთან ურთიერთობის სპეციალისტი თიმ ბაროუზი წარუძღვნენ.

სწავლების დროს განიხილეს საზოგადოებასთან ურთიერთობების, საზოგადოებისთვის ძირითადი მესიჯების მიწოდების, სოციალური მედიის ეფექტურად გამოყენების, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფარგლებში სოციალური მედიის როლის განსაზღვრის, მედიასთან დაკავშირებული გამოწვევების და კრიზისული სიტუაციების დროს სწორი კომუნიკაციის საკითხები. სწავლების ფარგლებში ასევე განიხილეს პრაქტიკული მაგალითები და გაიმართა მსოფლიოში მომხდარი, გახმაურებული ფაქტების ირგვლივ მსჯელობა, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან ურთიერთობების კუთხით ამერიკული სტანდარტების უკეთ გაცნობისთვის.

შსს-ს წარმომადგენლებისთვის მსგავსი სწავლება უკვე მეორედ ჩატარდა. კურსის დასრულების შემდეგ, ტრენინგის ყველა მონაწილეს შესაბამისი სერტიფიკატი გადაეცა.

„მე ვუთხარი მას, ეს არ გაეკეთებინა...“

23 აგვისტო, 2005 წელი

18:51 წთ-ზე, სანამ ჩემი ცვლა დამთავრდებოდა საშინელი ზარი შემოვიდა, ვერ წარმოვიდგენდი, რომ დღის ბოლოს ასეთი ზარის მიღება მომიწევდა. ინიციატორი ქალბატონი იყო, რომელიც ტიროდა და ძნელი იყო მისგან იმის გაგება, თუ რა მოხდა.

- „ჩემი შვილი... ის არ სუნთქავს“...

მივხვდი რომ პაციენტი მძიმე მდგომარეობაში იყო, სასწრაფოდ ბავშვის ასაკი ვიკითხე.

- „თოთხმეტი“ - მიპასუხა მან.

გადავწყვიტე მიმეცა ინსტრუქციები რეანიმაციის ჩასატარებლად, თუმცა აღმოჩნდა რომ მან ეს იცოდა.

- „მე ჩავუტარებ რეანიმაციას, პირველადი დახმარების კურსი გავლილი მაქვს“, გაისმა ხმა და ქალმა და ყურმილი დააგდო.

ყურმილში ყვირილი ისმოდა. თავდაპირველად მეგონა რომ ჩხუბობდნენ, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს ისტერიკაში მყოფი პაციენტის მამა იყო. მან ყურმილი აიღო და დაიწყო მისამართის გამეორება. ვცდილობდი რამე მეთქვა, მაგრამ ამის საშუალებას არ მაძლევდა. მართალია, არასდროს არ უნდა მიმართო ხმამაღლა ადამიანს რომელსაც უჭირს, მაგრამ სიცოცხლის შესანარჩუნებლად და ყურადღების მისაქცევად შეიძლება ტონის აწევა. შევძელი მამაკაცის ყურადღების მიქცევა და ვკითხე, თუ რა მოხდა. თავდაპირველად ვერ ვხვდებოდი რას მეუბნებოდა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ შვილის მდგომარეობას მიხსნიდა:

- „სახე იისფერი აქვს, თვალის გუგები გაფართოებული...“

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი ზარი ჩემი კარიერის მანძილზე. თუმცა ყველაზე ცუდი ის იყო, რომ 18:51 წუთზე სასწრაფოს გამოძახება ნიშნავდა, რომ ის დააგვიანებდა, რადგან ამ დროს ბრიგადები იცვლებიან. ამის ახსნა პანიკაში მყოფი მშობლებისთვის საკმაოდ რთული იყო, რადგან მათთვის 2 წუთსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სასწრაფო მათთან 19:01 წუთზე მივიდა, ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი 10 წუთი...

საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

როგორ უმღეროდა პოლიციელი გოგონას, რომელსაც მამა ავტოჯატასტროფაში დაეღუპა

კოლორადოში, ქ.ბრაიტონის პოლიციის ერთ-ერთი ოფიცერი, ნიქ სტრაქი, დეპარტამენტის განსაკუთრებული თანამშრომელი გახდა. ერთ-ერთი გამოძახებისას პოლიციელებს ამოტრიალებულ მანქანაში ორი მცირეწლოვანი ბავშვი და მათი მშობლები დახვდნენ. სამწუხაროდ, მამის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა, რადგან ის უკვე გარდაცვლილი იყო. კეთილმა პოლიციელმა პატარა გოგონას მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა.

ადგილობრივმა ტელეკომპანიამ გადაიღო, კადრები, თუ როგორ მოარიდა მზრუნველმა ოფიცერმა გოგონა რთულ სიტუაციას, ხელში აიყვანა და გასართობი სიმღერები უმღერა.

-„პირველივე წუთიდან, გადავწყვიტე პატარა ამ სიტუაციისთვის გამერიდებინა. ჩემი შვილიც მისი ასაკისაა და კარგად ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის, როდესაც მათ უსმენენ, მათზე ზრუნავენ. ამ დროს ყოველგვარი უცხოობის შეგრძნება უჭრებათ. ეს ერთადერთი სასარგებლო რამ იყო, რაც იმ მომენტში მისთვის შეიძლებოდა გამეკეთებინა.“ - აღნიშნა ოფიცერმა.

- „რომ არა ის, ბავშვისთვის აღნიშნული წუთები განსაკუთრებულად რთული იქნებოდა, ირგვლივ საშინელი ქაოსი იყო, ხალხი საშველად მორბოდა, ამ დროს კი ოფიცერი სტრაქი ხელში აყვანილ პატარა გოგონას უმღეროდა. მისმა საქციელმა ნამდვილად აღგვაფრთოვანა“ - ამბობს ტელეკომპანიის ჟურნალისტი.

წყარო: Goodnews



პოლიციის ოფიცერი შეძრა 6 ფეხშიშველი ობლის დანახვამ

მარკს პოლიციაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, ამ დროის განმავლობაში ბევრი რამის შემსწრეც ყოფილა, მაგრამ ვოლმარტის სუპერმარკეტში მომხდარმა შემთხვევამ გამოცდილი ოფიცერი სულით ხორცამდე შეძრა. იგი ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით გამოიძახეს. შემთხვევის ადგილზე მისულ მარკს ახალგაზრდა ქალი, სახელად სარა, უკვე დაკავებული დახვდა. ექვსი შვილის დედა ბავშვის საფენების, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ქურდობის ფაქტზე დაიჭირეს ვოლმარტის თანამშრომლებმა.

მარკმა შეამჩნია, რომ ბავშვები ფეხშიშველები იყვნენ. პოლიციელმა სარას კითხა ამის შესახებ, ქალი ატირდა და მარკს თავისი ცხოვრების შესახებ უამბო.

აღმოჩნდა, რომ სარას მეუღლე 2012 წელს გარდაიცვალა და ოჯახი ყოველგვარი შემოსავლის გარეშე დარჩა, მალე საცხოვრებელი სახლიც დაკარგეს და ქუჩაში აღმოჩნდნენ. მას შემდეგ, სარა ექვს მცირეწლოვან ბავშვთან ერთად მანქანაში ცხოვრობს. ახლა კი უკვე მხოლოდ იმაზე დარდობს, თუ რა ეშველებათ და ვინ მიხედავს მის შვილებს, როცა მას ამ ფაქტის გამო ციხეში ჩასვამენ.

პოლიციის ოფიცერმა გადაწყვიტა არ დაეპატიმრებინა ქალი, უფრო მეტიც, მან ისეთი რამ გააკეთა, რამაც სარას და მისი შვილების ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა... მან სარა ვოლმარტში შეიყვანა

და სთხოვა ბავშვებისთვის ფეხსაცმელი შეერჩია, საფენები და სათამაშოებიც იყიდა და გაოგნებულ დედას გადასცა.

- „ის წარმოუდგენლად კეთილი იყო ჩემი შვილების მიმართ, მეორე დღეს კი დამირეკა და მითხრა, რომ საცხოვრებელი ადგილის მოძებნას აპირებდა ჩვენთვის“ - განაცხადა სარა რობინსონმა.

ამ დღის შემდეგ ათასობით ადამიანი რიცხავდა შემოწირულობებს არა მხოლოდ სარას, არამედ პოლიციის ოფიცრის სახელზეც, თუმცა მარკი მთლიან თანხას სარასა და მის ობლებს ურიცხავდა. სარა სამსახურს ეძებდა, რომ შვილები ღირსეული შრომით ერჩინა.

- „მე ორენოვან ოჯახში გავიზარდე, კარგად ვსაუბრობ როგორც ინგლისურად, ასევე ესპანურ ენაზეც და კომპიუტერულ პროგრამებშიც ვერკვევი. სიტყვები არ მყოფნის, რომ მადლიერება გამოვხატო მარკის მიმართ, ის ძალიან კეთილია, მე და ჩემი შვილები ვალში ვართ მის წინაშე“ - განაცხადა მომავლის იმედით აღსავსე სარამ.

წყარო: www.hefty.co




ესპანელმა მეხანძრემ ლეკვს პირველადი დახმარება ადგილზე აღმოუჩინა

42 წლის კარლოს არანა, ვალენსიის ქალაქ საგუნტოში, ცეცხლის ჩასაქრობად გამოიძახეს. ხანძარი კორპუსში გაჩნდა. ხანძრის ჩაქრობის შემდეგ, მაშველებმა სახლში უგონოდ მყოფი იორკშირული ტერიერის 2 თვის ლეკვი და შეშინებული 10 წლის პუდელი შეამჩნიეს, რომელიც ლეკვის სიახლოვეს იჯდა.

კარლოსმა ლეკვი გარეთ გამოიყვანა, ჟანგბადის ნიღაბი მოარგო და გულის მასაჟის გაკეთება დაუწყო, თუმცა უშედეგოდ. მაშინ მან ლეკვს ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა.

კარლოსი ტერიერს 5 წუთის განმავლობაში შეუჩერებლივ უტარებდა გულის მასაჟს და ხელოვნურ სუნთქვას. საბედნიეროდ, კარლოსის მცდელობა წარმატებით დასრულდა. ლეკვი გადარჩა, კარლოსს კი ვალენსიის გმირი და „ანგელოზი“ უწოდეს.

წყარო: www.mirror.co.uk

ამერიკის შეერთებულ შტატებში ძაღლმა სროლისას ბავშვი გადაარჩინა

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ატლანტაში ძაღლმა ბავშვი გადაარჩინა. ინციდენტი ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის ავტოსადგომზე მოხდა. პოლიციის ცნობით, ორ მძღოლს შორის შელაპარაკების დროს, ერთ-ერთ მათგანს ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა და მოწინააღმდეგის მანქანის მიმართულებით სროლა დაიწყო. მანქანაში ამ დროს ქალი, სამი მცირეწლოვანი ბავშვი და ძაღლი იმყოფებოდნენ.

თვითმხილველების განცხადებით, ძაღლი სახელად „ნოი“, სროლის დაწყებისთანავე ერთ-ერთი ბავშვის მიმართულებით გადახტა და ტყვიისგან დაიფარა იგი. სამწუხაროდ, ნოი დაიჭრა, მაგრამ შემთხვევას ადამიანური მსხვერპლი არ მოჰყოლია.

წყარო: www.lenta.ru



იაპონიის სადგურებზე ნასვამ ადამიანებს ავტომატური სისტემა მიაქცევს ყურადღებას

იაპონელები შრომისმოყვარე ხალხია. მათი დიდი ნაწილი იმდენად ბეჯითად შრომობს სამუშაო კვირის განმავლობაში, რომ დღის ბოლოს დაგროვილი სტრესის მოსახსნელად ერთადერთ საშუალებად კარგად გამოთრობა რჩებათ. ვინაიდან იაპონელები სამგზავრად აქტიურად იყენებენ მეტროს, ძლიერი თრობა ხშირად უბედური შემთხვევების მიზეზი ხდება: ხშირად უბრალოდ ფეხზე ვერ დგებიან და ბაქნიდან პირდაპირ მატარებლის ბორბლებქვეშ ვარდებიან. უბედურ შემთხვევათა რიცხვის შესამცირებლად სარკინიგზო კომპანიამ JR West-მა სპეციალური პროექტი შეიმუშავა.

ამ კომპანიის კუთვნილ ყველა სადგურზე დაყენდება თვალთვალის სპეციალური ავტომატური სისტემები. სპეციალურად შემუშავებული ალგორითმების მეშვეობით ეს კამერები კადრში მოხვედრილ ადამიანებს შორის თრობის საერთო ნიშნებს მოძებნის. მაგალითად, თუ ადამიანი ძალიან დიდხანს ზის სკამზე და მატარებელს ერთიმეორის მიყოლებით უშვებს, ან უბრალოდ უმიზნოდ დაბორიალობს ბაქანზე, სპეციალურად შექმნილი კომპიუტერული სისტემა აუცილებლად მიაქცევს მას ყურადღებას და მის შესახებ სადგურის თანამშრომლებს აცნობებს.

ჯერჯერობით კამერები მხოლოდ ერთ ადგილზე - ოსაკაში, კიობასის სადგურზე დაყენეს, რომელიც ქალაქის საქმიან ცენტრთან ყველაზე ახლოს მდებარეობს. მაგრამ უახლოეს მომავალში JR West-ის ხელმძღვანელობა მსგავსი სისტემის დაყენებას დანარჩენ სადგურებზეც გეგმავს. ეს არაა პირველი მსგავსი ინიციატივა სარკინიგზო გადაზიდვების ამ კომპანიისგან. კომპანიის სპეციალისტებმა გამოაქვეყნეს კვლევა, რომელიც ამტკიცებს, რომ მეტროს სადგურებში მოსაცდელი სკამების განთავსება სახით ბაქნის კიდისკენ არ შეიძლება: ნასვამი ადამიანი, გაიგონებს რა, რომ მატარებელი მოდის, მკვეთრი მოძრაობით დგება სკამიდან, კარგავს წონასწორობას და პირდაპირ რელსებისკენ მიფრინავს.

სამწუხაროდ, რეალობა ასეთია: მატარებლებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების 60% სწორედ ნასვამ ადამიანებს ემართებათ. შესაძლოა, მსგავსმა ინიციატივამ მართლაც გადაარჩინოს ადამიანების სიცოცხლე და JR West-ის ინჟინერთა მცდელობამ გაამართლოს.

წყარო: http://hi-news.ru/



უმოჯა - მათ ეს შეძლეს!

სამყარო, სადაც მხოლოდ ქალები ცხოვრობენ, როგორია ის თქვენი წარმოდგენით? პატარა სოფელია, თუ მეგაპოლისი, სადაც უსაფრთხოდ შეგიძლიათ იაროთ დღისით და ღამით? სადაც ქალები მუშაობენ მემანქანეებად, ან დებენ მილიონიან ბიზნეს ხელშეკრულებებს? ადგილი, სადაც შეგიძლია ისე გამოიყურებოდე, როგორც გსურს - იარო კაბით, შარვლით, თუ მოგინდება შიშველმაც...

დედამიწაზე მართლაც არსებობს ადგილი, სადაც მხოლოდ ქალები ცხოვრობენ, რომლებმაც თავგანწირული ბრძოლის შედეგად მოიპოვეს დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება.

სოფელი უმოჯა კენიაში მდებარეობს, ქალაქ არჯერს პოსტისა და სამბურუს ნაციონალურ ნაკრძალთან ახლოს. სულ ორიოდე ათეული წლის წინათ, აქ, მდინარე უასოს ნაპირებზე, მხოლოდ მზისგან გადამწვარი უკაცრიელი მიწა იყო. 1990 წელს ქალთა დაჯგუფებამ „უმოჯა უასო“-ს სახელწოდებით, 28 წლის რებეკა ლოლოსოლის ხელმძღვანელობით სოფელი დააარსა. თუმცა ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო...

რებეკა ლოლოსოლი 1962 წელს დაიბადა სოფელ ვამბაში. რებეკას მამას სამი ცოლი ჰყავდა, თავად კი ექვსი შვილიდან მეოთხე გახლდათ. გოგონამ განათლება მედდების კათოლიკურ სასწავლო ცენტრში მიიღო. სწავლის დასრულებამდე ექვსი

თვით ადრე, მას სასწავლებლის დატოვებამ მოუწია, რადგან სწავლის საფასურის გადახდა ვეღარ შეძლო.

სუმბურუს ტომში, საიდანაც რებეკა გახლავთ წარმოშობით, ქალს არანაირი უფლებები არ გააჩნია, იგი ძროხასთან, ან ნებისმიერ საყოფაცხოვრებო ნივთთან არის გათანაბრებული. გოგონებს ყიდულობენ ოჯახებისგან რამდენიმე სული რქოსანი პირუტყვის საფასურად. თვით რებეკა 18 წლის ასაკში 17 ძროხის ფასად იყიდა საქმრომ. ქორწილის შემდგომ ცოლი ქმრის საკუთრება ხდება და რომც მოკლან მის ოჯახს ხმის ამოღების უფლება აღარ აქვს, ქალი ხომ ოფიციალურად და სავსებით კანონიერად არის ნაყიდი!

საბედნიეროდ, რებეკას ქმარი ნორმალური ადამიანი აღმოჩნდა, არ ავიწროვებდა მაშინაც კი, როცა ქალი ვაჭრობდა, არადა სამბურუს ტომის ადათ-წესების მიხედვით, ქალს უფლება არ აქვს საკუთარი საქმე წამოიწყოს. ტომის მამაკაცებს არ მოსწონდათ რებეკას გაბედული საქციელი და როგორც კი ქმარი სახლიდან გადიოდა, სასტიკად სცემდნენ ქალს. საფრთხე არა მხოლოდ თანასოფლელების, არამედ ბრიტანული არმიის ჯარისკაცებისგანაც ელოდათ სუმბურუს ტომის ქალებს.

- „ისინი მწვანე ფორმას ატარებდნენ, რომელიც ხეების ფონზე ცუდად განირჩეოდა. როცა ქალები მინდორში სელს აგროვებდნენ, ისინი უცბად გამოცვივდებოდნენ ტყიდან, თავს ესხმოდნენ და აუპატიურებდნენ მათ, თან იცინოდნენ, ეს მათთვის ჩვეულებრივი თამაში და გართობა იყო!“ - ყვება რებეკა.

200 ქალი ამტკიცებს, რომ გააუპატიურეს და რომ ბრიტანელი ჯარისკაცები ნადირობდნენ მათზე...

მალე სოფელში ხმა გავარდა და ტომის მამაკაცებმა იუკადრისეს შებილწულ ქალებთან თანაცხოვრება - „ქალს ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეს მამაკაცთან,

ის თავის ოჯახში უნდა იყოს გათხოვებამდე“ - აცხადებდნენ ისინი. ქალები სცემეს და სახლებიდან გამოყარეს. საარსებო წყაროს გარეშე დარჩენილი ქალების ნაწილმა არყით დაიწყო ვაჭრობა და მალე ციხეში აღმოჩნდა, მათი შვილები უპატრონოდ დარჩნენ ქუჩაში, ბევრი ველური ცხოველების მსხვერპლიც გახდა...

რებეკა წლების განმავლობაში ეძებდა სამართალს სუმბურუს ხელმძღვანელობაში, მაგრამ მთავრობის წარმომადგენლები კაცები იყვნენ და არც კი უსმენდნენ ქალს...

ბრიტანელი ჯარისკაცების წინააღმდეგ სარჩელი აღიძრა 1400 ქალის გაუპატიურების ბრალდებით, მაგრამ 2006 წელს, სამი სასამართლო პროცესის ჩატარების შემდგომ, ჯარისკაცები გაამართლეს! აღნიშნეს, რომ ფაქტები ხელოვნურად იყო შეთითხნილი და ქალების ჩვენებები ცრუ იყო. მოსამართლემ იმ ფაქტზეც კი დახუჭა თვალი, რომ ამ გაუპატიურებების შედეგად სუმბურუში ასობით მეტისი იბადებოდა.

ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც 15 ქალისგან შემდგარმა ჯგუფმა, რებეკას ხელმძღვანელობით, გადაწყვიტა საკუთარი დასახლების დაარსება. თავიდან ისინი მომთაბარეობდნენ, მძიმე პირობებში უწევდათ ცხოვრება, შაჰარს და სიმინდს ყიდდნენ, ძალიან მწირი იყო მათი შემოსავალი, მაგრამ თავს მაინც შესანიშნავად გრძნობდნენ. ყიდდნენ ხელნაკეთ სამკაულებს და სუვენირებს, რომლებიც ტურისტებში დიდი მოწონებით სარგებლობდა.

მალე უმოჯელების ნამუშევრებმა კენიის

ველური ბუნების დაცვის სამსახურის ყურადღება მიიქცია და ქალები მასაი-მარას ნაციონალურ პარკში საგანმანათლებლო ტურზე მიიწვიეს, იქ საკუთარი შემოქმედება, რომ გამოეფინათ. გაჩნდა ახალი იდეა - დაეარსებინათ ისეთი კულტურული ცენტრი და სოფელი, სადაც ტურისტებს საკუთარ შემოქმედებას გააცნობდნენ. რამდენიმე წლის განმავლობაში აგროვებდნენ ქალები ფულს და ბოლოს მიწის ყიდვაც შეძლეს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ეს მიწა მხოლოდ მათ - ქალებს ეკუთვნოდათ! თუმცა ამის შემდეგაც ბევრი ძალადობის ატანა მოუხდათ ყოფილი თანასოფლელების მხრიდან. კაცები თავს ესხმოდნენ მათ დასახლებას, ტურისტების თვალწინ სცემდნენ, რებეკას მოკვლითაც იმუქრებოდნენ.

მამაკაცებმა დასახლების ახლოს ბინაც დაიდეს, რომ ტურისტებისთვის მისასვლელი გზა გადაეკეტათ. უმოჯელი ქალები მიჩვეულნი იყვნენ ძალადობას და კარგად ესმოდათ, რომ არავის იმედი არ უნდა ჰქონოდათ საკუთარი თავის გარდა.

მალე უმოჯელებმა კემპინგ ცენტრი დააარსეს ტურისტებისთვის, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობდა უცხოელებში, საგანმანათლებლო საქმიანობაც წამოიწყეს და ახლომახლო სოფლებში ქალებს საკუთარი უფლებების დაცვისაკენ მოუწოდებდნენ.

სოფლის მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა, ძალადობის მსხვერპლი ქალები გამორბოდნენ თავიანთ სოფლებიდან და აქ აფარებდნენ თავს.

დღეს სოფელში მოსამზადებელი სკოლაც აქვთ, სადაც 3-6 წლის ასაკის ბავშვები სწავლობენ. მთავარი პედაგოგი რეგიონის ხელმძღვანელობიდან არის დანიშნული, ორი დამხმარე მასწავლებლის ხელფასს კი უმოჯას ფონდი გასცემს, ამ ფონდიდანვე ფინანსდება სკოლის ფორმების, სადილის ხარჯები. ერთი უმოჯელი გოგონა კოლეჯში სწავლობს, მისი სწავლის გადასახადსაც ფონდი ანაზღაურებს. საღამოობით სკოლაში უფროსებიც მოდიან, ისინი აქ სუახილს, ინგლისურსა და მათემატიკას სწავლობენ.

სოფელს საკუთარი მუზეუმი და ვებ გვერდიც (www.umojawomen.com)აქვს.

უმოჯა შემოწირულობებისა და სამკაულებით ვაჭრობიდან მიღებული თანხებით არსებობს და ქალთა 60 სხვა დაჯგუფებასაც ეხმარება, რომლებიც საკუთარი უფლებებისთვის იბრძვიან.

1995 წელს, რებეკა ლოლოსოლი ქალთა ორგანიზაცია- MYWO-ს მმართველობის წევრად აირჩიეს. ეს ორგანიზაცია იბრძვის ქალთა წინადაცვეთის, მცირეწლოვანთა ძალით გათხოვების, ქალთა გაუნათლებლობისა და ზოგადად მათი უუფლებობის წინააღმდეგ.

უმოჯა - ქალების სამყაროა. აქ მცხოვრებმა ადამიანებმა გამოიარეს ძალადობა, გაუპატიურება, ცემა, შვილების სიკვდილი, მაგრამ მათ ეს შეძლეს! - ააშენეს სამოთხე, რომელიც მხოლოდ მათ ეკუთვნით!

წყარო: http://umojawomen.com

911-ის ისტორიები

4 წლის მიჩიგანელმა გოგონამ ორსული დედა 911-ზე დარეკვით სიკვდილს გადაარჩინა

სალისე მანნინგის დედა 9 თვის ორსული იყო, როდესაც ის შეუძლოდ გახდა და გონება დაკარგა. 4 წლის გოგონამ 911-ზე დარეკა და სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა.

სალისმა შეინარჩუნა სიმშვიდე განსაცდელის დროს და მოახერხა 911-ის ოპერატორისთვის მიეწოდებინა ყველა საჭირო ინფორმაცია, მისამართი, მათი სახლის ფერი და ის ფაქტი, რომ დედა ორსულად იყო.

ბავშვმა, რომელსაც მისთვის მომზადებული საჭმლის გემო არ მოეწონა, დახმარებისთვის 911-ს მიმართა

10 წლის ბავშვმა 911-ში დარეკა. ბიჭუნას მამის მომზადებული სადილი არ მოეწონა. ინციდენტი აშშ-ში, ილინოისის შტატში მოხდა. ფაქტი პოლიციაშიც დაადასტურეს. რა საკვები მოამზადა მამამ უცნობია, მაგრამ ბავშვმა კატეგორიული უარი განაცხადა სადილის მირთმევაზე. პოლიციის თანამშრომლები გაესაუბრნენ მას და აუხსნეს, რა სიტუაციაში უნდა დაერეკა 911-ზე.

სამართალდამცავებმა აღნიშნეს, რომ უცნაური ზარები ხშირად ხორციელდება 911-ში, მაგალითად 2009 წელს 911-ში მოზარდმა დარეკა და განაცხადა, რომ დახმარება ესაჭიროებოდა, რადგან მშობლებმა სათამაშო კომპიუტერი წაართვეს. საპასუხოდ, მოზარდს ურჩიეს დამჯერი ყოფილიყო და ყური ეგდო მშობლების რჩევებისთვის.

ბავშვმა, რომელსაც დასაძინებლად წასვლა არ უნდოდა, 911-ზე დარეკა

ამერიკაში, მასაჩუსეტსის შტატში, დილის 4 საათზე 911-ში პატარა ბიჭუნამ დარეკა, რომელსაც სურდა დედისთვის ეჩივლა, რადგან დასაწოლად წასვლა უბრძანა. რა თქმა უნდა, ბავშვის საცხოვრებელ მისამართზე მისულ პოლიციის ოფიცერს ძალადობის არანაირი კვალი არ დახვედრია. აღნიშნულ შემთხვევაში, ცრუ გამოძახებას არავითარი გართულება არ მოჰყოლია, თუმცა ოფიცერმა ბავშვს აუხსნა, რომ ცრუ გამოძახება კანონით ისჯება და მიაწოდა ინფორმაცია, როდის უნდა მიემართა 911-ისთვის.

აშშ-ს შტატ ტენესიში მცხოვრები მოზარდის სიცოცხლე APPLE-ის პროგრამამ გადაარჩინა

სემ რეი მუშაობდა,როდესაც თითქმის 5000 ფუტის სატვირთო დაეცა და ხაფანგში მოაქცია. მან საშველად ყვირილი დაიწყო, მაგრამ გარშემო არავინ იყო. სემი ცდილობდა გაექტიურებინა პროგრამა Siri, როდესაც ეს შესძლო მოითხოვა ზარი 911-ში.

სემ რეი გადარჩა და ერთ თვეში გამოჯანმრთელდა.

წყარო: ABC News; www.proisshestvie.com

მასშტაბური შეჯახებები მსოფლიოში

4. 1991 წელს, კალიფორნიას ქვიშის ძლიერი შტორმი დაატყდა თავს. მეხუთე ავტომაგისტრალზე 100-ზე მეტი ავტომანქანა შეეჯახა ერთმანეთს. 17 ადამიანი დაიღუპა და 150 დაშავდა.

5. ძლიერი ნისლის გამო, 2002 წელს აშშ-ს ჯორჯიასა და ტენესის შტატების საზღვარზე ავტომანქანების მასიური შეჯახება მოხდა. ერთმანეთს 125 მანქანა შეეჯახა.

წყარო: www.fishki.net

უნიკალური ლაზერული შუქნიშანი

ევროპელმა ინჟინრებმა ლაზერული შუქნიშნის შექმნა გადაწყვიტეს. ის ავტომობილის წინ მკვეთრი წითელი ჰოლოგრამის სახით ახდენს გზაზე გადამსვლელი ქვეითების ან „სდექ“ ნიშნის პროექციირებას. შედეგად, მძღოლი სწრაფად რეაგირებს. ჰოლოგრამა გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასაც ახდენს, მასში გამოსახულ ადამიანებში გავლა ქვეცნობიერად, მაინც რთული და არასასიამოვნოა, შესაბამისად, მძღოლი სიჩქარეს ანელებს და ჩერდება. ჯერჯერობით, ლაზერული შუქნიშანი მხოლოდ ვირტუალურად არსებობს და ტესტურ რეჟიმში მუშაობს.

წყარო: www.autocentre.ua



საათი უსინათლოებისთვის

თავისუფალი უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტებმა მაჯის საათი გამოიგონეს, რომლის საშუალებითაც უსინათლო ადამიანები დამოუკიდებლად შეძლებენ დროის გაგებას. აქამდე უსინათლოებისთვის ხმოვანი საათები არსებობდა, თუმცა ხმაურიან ადგილას ასეთი ტიპის საათით სარგებლობა გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა მფლობელს.

ქართველმა სტუდენტებმა საათის უკვე მესამე და შესაბამისად, ბევრად გაუმჯობესებული მოდელი შექმნეს. საათი ვიბრაციის საშუალებით ატყობინებს პატრონს ჯერ საათს და შემდეგ კი წუთებს. ნიჭიერი ახალგაზრდები მომავალში კიდევ უფრო დახვეწილ პროდუქტს შეთავაზებენ საზოგადოებას, საათს GPS-ის ფუნქციაც დაემატება და უსინათლო ადამიანის დაკარგვის შემთხვევაში მოწყობილობა ოჯახის წევრებთან კოორდინატებს გააგზავნის.

წყარო: **www.kvirispalitra.ge**

გახსოვდეთ!

112 გადაუდებელი დახმარების ნომერი
24/7
112
112
დაგვიკავშირდით
საქართველოს
ნებისმიერი წერტილიდან
112
როცა წამები გადამწყვეტია...
www.112.ge
www.facebook.com/112.ge
www.kids.112.ge

შსს სსიპ – 112

ვაშლიჯვრისა და ნუსუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

www.112.ge

pr@112.ge